საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-7

12/01/2023

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის- სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 27-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს:

ა) სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა (დანართი №1);

ბ) ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა (დანართი №2);

გ) მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამა (დანართი №3).

2. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიური ანგარიშის წარდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის- სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა

და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის N2-1723 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ოთარ შამუგია

მინისტრი